“ალადინი” და ახლო აღმოსავლეთის ხელოვნება

(გზამკვლევი)

მოამზადა თათია ბარბაქაძემ

საფეხური: დაწყებითი (V-VI)

რესურსის მიზანი: “ალადინის” ანიმაციის გამოყენებით ახლო აღმოსავლეთის ხელოვნებისთვის დამახასიათებელი მხატვრული ნიშნების ამოცნობა და კონკრეტულ კონტექსთან დაკავშირება, სხვადასხვა ქვეყნის ხელოვნების ნიმუშების შედარება, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახლის შემეცნება და გაკვეთილზე შეძენილი ცოდნის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირება.

მეთოდი: რესურსში გამოყენებულია ხარაჩოს მეთოდი

თემატური ბლოკი: ხელოვნება ჩვენ გარშემო

რესურსის მოსალოდნელი შედეგი: “ალადინის” ანიმაციის საშუალებით ახლო აღმოსავლეთის ხელოვნებისა და, ზოგადად, ისლამური კულტურის მახასიათებლების ამოცნობა, აღწერა და კონტექსტში გააზრება. შესაბამისი ტერმინების გამოყენებით ევროპული და სხვა აზიური ქვეყნების ხელოვნების ნიმუშების შედარება, წინარე ცოდნის გააქტიურება, ახალი ცოდნის შეძენა და საკუთარ გამოცდილებასთან დაკავშირება.

გაკვეთილი ახლო აღმოსავლეთის ხელოვნებასა და ისლამურ კულტურას შეეხება. მასწავლებლის მიზანია, ხარაჩოს მეთოდის გამოყენებით, ბავშვებმა მოახერხონ ხელოვნების სხვადასხვა დარგისა თუ ნიმუშის მათთვის ცნობილ ანიმაციასა და ყოველდღიურ ცხოვრებაში აღმოჩენა. ამასთანავე, გამომდინარე იქიდან, რომ ქართული კულტურა დასავლურთან ერთად აღმოსავლური კულტურის ნიშნებს ატარებს, მოსწავლეებს შეუძლიათ რესურსში წარმოდგენილი მთელი რიგი მახასიათებლების ქართულ სოციოლურ-კულტურულ კონტექსტთან დაკავშირება.

რაც შეეხება ხარაჩოს მეთოდს: მეთოდი ეფუძნება ლევ ვიგოტსკის შეხედულებას, რომლის მიხედვითაც, ადამიანის კოგნიტურ განვითარებაზე სოციალური და კულტურული გარემო ახდენს გავლენას. ვიგოტსკის სოციო-კულტურული თეორიის მიხედვით, ბავშვი პრობლემის გადაჭრას უფროსის ან გაწაფული მოსწავლის დახმარებით ახერხებს. ამ დროს მენტორი მოსწავლეს პრობლემის გადაჭრას ხარაჩოების გამოყენებით სთავაზობს[1]. ხარაჩოები ანუ სკაფოლდინგი არის დამხმარე საშუალებათა სისტემა, რომელიც მოსწავლეს კონკრეტული ამოცანის ამოხსნაში ეხმარება[2]. ხარაჩოს მეთოდის გამოყენებისას მასწავლებელი ცდილობს, მოსწავლეებს ცოდნის აგებაში დაეხმაროს. ეს შესაძლებელია მოხდეს წინარე ცოდნის გააქტიურებით, პრობლემის გადაჭრისთვის მიზანმიმართული კითხვების დასმით (ქოუჩინგით), განმავითარებლი შეფასების გამოყენებით და ა.შ. ხარაჩოები საჭიროა

[1] ანიტა ვულფოლკი, „განათლების ფსიქოლოგია“, გვ.475
[2] https://mastsavlebeli.ge/?p=2216

იმისთვის, რომ საბოლოოდ, მოსწავლემ შეძლოს დამოუკიდებელად პრობლემის გადაჭრა[3]. გზამკვლევში წარმოდგენილი გაკვეთილის მსვლელობაში, სწორ პასუხებთან ერთად, მოცემულია ხარაჩოები, რომელთა გამოყენებითაც მასწავლებელი მოსწავლეს საკითხის გაგებასა და სწორი პასუხის გაცემაში ეხმარება.

რესურსის გამოყენების აუცილებელი პირობაა, რომ გაკვეთილის ჩატარებამდე მულტფილმი "ალადინი" (1992 წ.) ყველა მოსწავლეს ჰქონდეს ნანახი.

შენიშვნა ტერმინის, "ახლო აღმოსავლეთის", შესახებ: ახლო აღმოსავლეთის (მახლობელი აღმოსავლეთის) რეგიონის შესახებ დღესდღეობით გავრცელებულია სხვადასხვა ტერმინი, მათ შორის: "შუა აღმოსავლეთი", "დიდი შუა აღმოსავლეთი" და ა.შ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინები პოლიტიკური კონტექსტების გათვალისწინებით იქმნება და იცვლება. ტერმინის, "ახლო აღმოსავლეთის," ვიწრო დეფინიციაში მოიაზრება ირანი, თურქეთი, დასავლეთ აზიის არაბული სამყარო, ეგვიპტე, ისრაელი[4]. ქართულ რეალობაში რეგიონის ისტორიულ-კულტურული კონტექსტის აღსანიშნავად კვლავ "ახლო აღმოსავლეთი" გამოიყენება. ამასთანავე, რესურსში გამოყენებულ ტერმინში, "ახლო აღმოსავლეთი", მხოლოდ ისლამური კულტურის ქვეყნები მოიაზრება.

შენიშვნა ისლამური კულტურისა და ინდოეთის შესახებ: "ალადინის" ანიმაციაში, მეტწილად, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ყოფისა და კულტურისთვის დამახასიათებელი ნიშნები იკითხება. თუმცა მულტფილმში ასევე თვალსაჩინოა ინდური კულტურაც, რომელიც მოგოლთა ეპოქის (1526-1857) ნიშნებს ატარებს. თავის მხრივ, მოგოლების იმპერია სპარსულ და, ზოგადად, ისლამური კულტურის გავლენას განიცდიდა.

გაკვეთილის მსვლელობა

ნაბიჯი 1

გაკვეთილის დაწყებამდე მასწავლებელმა მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით სამუშაო ფურცლები, 11 დავალებისგან შემდგარი სავარჯიშო, უნდა ამობეჭდოს. დავალებები მოსწავლეებმა ინდივიდუალურად უნდა შეასრულონ. ამიტომ, აუცილებელია, რომ ყველა მოსწავლეს თითო სავარჯიშო ფურცელი (11 დავალება) შეხვდეს. ბოლო, მე-12 დავალება, წყვილებსა ან ჯგუფებში მუშაობას ითვალისწინებს. შესაბამისად, მე-12 დავალების რაოდენობა მოსწავლეთა წყვილებისა და ჯგუფების რაოდენობაზე იქნება დამოკიდებული.

გაკვეთილის დაწყებისას კი მასწავლებელმა სამუშაო ფურცლები (11 დავალებისგან შემდგარი სავარჯიშო) მოსწავლეებს უნდა დაურიგოს და სახატავი მასალების (უბრალო შავი ფანქარი, ფერადი ფანქრები, ფლომასტერები, პასტელები) მომზადება სთხოვოს. შემდეგ კი პრეზენტაცია მონიტორზე გააზიაროს და კლასს გაკვეთილის მიზანი და თემა გააცნოს.

---

[3] იქვე;

[4] გიორგი სანიკიძე, გიული ალასანია, ნანი გელოვანი "ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან (XIX ს.-XXI ს.-ის დასაწყისი)", გვ.17

გაკვეთილის თემა “ალადინის” ანიმაცია და ახლო აღმოსავლეთის ხელოვნებაა, ხოლო მიზანი - მოსწავლეების მიერ ანიმაციაში ახლო აღმოსავლეთის ხელოვნების მახასიათებლების ამოცნობა, კონტექსტში გააზრება, სხვადასხვა ქვეყნის ხელოვნების ნიმუშების შედარება და საკუთარ გამოცდილებასთან დაკავშირება. მასწავლებელი მოსწავლეებს უხსნის, რომ სავარჯიშო 11 სხვადასხვა ტიპის დავალებისგან შედგება. დავალებებს თან ახლავს ინსტრუქციებიც. მოსწავლეები დავალებებს პრეზენტაციის დახმარებით ნაბიჯ-ნაბიჯ ასრულებენ. გაკვეთილის მიზნისა და თემის გაცნობის შემდეგ კლასი დავალების შესრულებას იწყებს.

ნაბიჯი 2

პირველი დავალების **პირველ კითხვაზე** პასუხის გაცემისთვის საჭიროა, მოსწავლეებმა სლაიდზე წარმოდგენილი თაღის, სარკმლის, კარის ფორმას შეუსაბამონ სიტყვა - **“შეისრული”.** შეისრული ფორმა ისლამური ხელოვნებისთვისაა დამახასიათებელი. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეები ვერ დაასახელებენ შესაბამის ტერმინს, მაშინ მათ მასწავლებელი ხარაჩოს სთავაზობს და სთხოვს, თაღის, სარკმლის და კარის ფორმა კონკრეტულ საგანთან დააკავშირონ. თაღის ორივე მხარე ისრისებურად ერთმანეთისკენაა მიმართული. ამით კი შეისრული (ისრული) ფორმა იქმნება, რომელიც ისლამური არქიტექტურისთვისაა სახასიათო. ვაჭრის ჩაცმულობის აღწერისას კი მოსწავლეებმა ყურადღება აღმოსავლური ყოფისთვის დამახასიათებელ სამოსზე უნდა გაამახვილონ. ამაში იგულისხმება როგორც ტანისამოსი, ასევე - ჩალმა.

მეორე კითხვაზე პასუხის გაცემისას, თუკი მოსწავლეებს ქვეყნების/კულტურის დასახელება გაუჭირდებათ, მასწავლებელი კვლავ ხარაჩოს სთავაზობს და მოსწავლეებს სთხოვს, განაზოგადონ კონტექსტი და კონკრეტული ქვეყნის დასახელების ნაცვლად ყურადღება გაამახვილონ რეგიონის რელიგიურ-კულტურულ განსაზღვრებაზე. მაგალითად ასე: ისლამური კულტურა, ორიენტალიზმი, ახლო აღმოსავლეთი.

მესამე კითხვის პასუხები ნებისმიერ შენობში შეიძლება აღმოჩნდეს, რომელიც ისლამური არქიტექტურისთვის დამახასიათებელ ნიშნებს ატარებს. ამაში იგულისხმება შეისრული თაღები, მუშარაბები, დეკორატიული გაფორმება და ა.შ. მაგალითისთვის, მოსწავლეებს შეუძლიათ დაასახელონ: გრემის მთავარანგელოზის ეკლესიის (სამხრეთ) ფასადი (მე-16 ს.), ანჩისხატის სამრეკლო (1675 წ.), აჰმედ ჯაყელის მიერ აგებული ახალციხის მეჩეთი (1752წ.), თელავის ბატონის ციხის კარიბჭე და სასახლის ინტერიერი (მე-17-18სს.), თბილისის სამხატვრო აკადემიის ინტერიერი - “სარკეებიანი დარბაზი” (მე-19 ს.-ის 50-იანი წლები), თბილისის ჭრელი აბანო (აგებულია მე-17 ს.-ში, გარკვეული სახეცვლილება განიცადა მე-19 ს.-ში) და ა.შ. ამ კითხვაზე პასუხის გაცემის დროს, შესაძლებელია მოსწავლის მიერ დასახელებული კონკრეტული შენობა მის პირად გამოცდილებასთან იყოს დაკავშირებული. თუკი ბავშვის სურვილი იქნება, მასწავლებელმა მას დრო უნდა მისცეს, რათა თავისი გამოცილება თანაკლასელებს გაუზიაროს.

ნაბიჯი 3

მე-2 დავალების პირველ კითხვაზე პასუხის გაცემისთვის საჭიროა, რომ მოსწავლეები სლაიდზე წარმოდგენილ სულთნის სასახლეს ყურადღებით დააკვირდნენ. მოსწავლეების პასუხი მისაღებად ჩაითვლება, თუკი ბავშვები სასახლის ფერსა და შეფერილობიდან გამომდინარე სამშენებლო მასალაზე (მარმარილო) გამოთქვამენ ვარაუდს. ყურადღებას კი გუმბათსა და კარიბჭის შეისრულ ფორმაზე გაამახვილებენ. **მეორე კითხვის** პასუხი კი ინდოეთის ქალაქ აგრაში მდებარე თაჯ-მაჰალია.

მესამე კითხვაზე პასუხი დადებითად ჩაითვლება, თუკი მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდს, რომ საუკუნეების წინ ისლამურ ქვეყნებსა და ინდოეთს შორის პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობა არსებოდა. მაგალითად, თაჯ-მაჰალი მოგოლთა იმპერატორ შაჰ-ჯაჰანის დროს აშენდა, რომელიც სპარსეთთან (ირანთან) ომს აწარმოებდა. იმპერატორი ისლამის მიმდევარი იყო. ინდოეთის ისტორიული კონტექსტის, ასევე ოსმალეთისა და სპარსეთის იმპერიების არსებობის გათვალისწინებით, ინდოეთში, მოგოლების ეპოქაში, შექმნილ ხელოვნების ნიმუშებში სპარსული, ოსმალური და ინდური ხელოვნებისთვის დამახასიათებელი ელემენტებია შერწყმული.

იმ შემთხვევაში, თუკი მოსწავლეებს მესამე კითხვაზე პასუხის მოფიქრება გაუჭირდებათ, მასაწავლებელი კვლავ ხარაჩოს სთავაზობს და კლასს შემდეგ კითხვებს უსვამს: როგორ ფიქრობთ, რომელი რელიგიის მიმდევარი შეიძლება ყოფილიყო იმპერატორი? რატომ ფიქრობთ ასე? ფაქტი, რომ მე-16 საუკუნეში ინდოეთსა და სპარსეთს შორის ომი მიმდინარეობდა, რას გვეუბნება ამ ორ სახელმწიფოზე?

მეოთხე კითხვაზე პასუხი მისაღებად ჩაითვლება, თუკი მოსწავლეები ინტერიერის დეკორატიულობას, კედლების ორნამენტულ გაფორმებასა და შეისრულ თაღებს დაასახელებენ.

ნაბიჯი 4

მე-3 დავალების პირველ კითხვაზე პასუხი ცალსახაა. ორნამენტის ფუნქცია რაიმეს შემკობა, გაფორმებაა. **პასუხი მეორე კითხვაზე:** არაბესკი. ისლამი ადამიანის გამოსახულებას კრძალავდა. შესაბამისად, მხატვრები რაიმეს შესამკობად კონკრეტული გამოსახულების მაგივრად სხვადასხვა ტიპის არაბესკებს ქმნიდნენ. პასუხი **მესამე კითხვაზე:** მუშარაბი - ისლამური არქიტექტურისთვის დამახასიათებელი ფანჯარა, რომელსაც ფერადი მინები აქვს[5].

მეოთხე აქტივობა კი მთლიანად პრაქტიკულ სამუშაოს ეძღვნება. მას შემდეგ, რაც მოსწავლეებში წინარე ცოდნა გააქტიურდება (მოსწავლეებმა გაიხსენეს, რომელია ძირითადი და შედგენილი ფერები, რა არის შეისრული თაღი, მუშარაბი, არაბესკი), და პედაგოგი დარწმუნდება, რომ ბავშვებისთვის დავალების ინსტრუქცია გასაგებია, კლასს შეუძლია პრაქტიკული სამუშაოს შესრულება დაიწყოს. ამავე დროს, მასწავლებელს შეუძლია ისპაანისა და შაჰის მეჩეთის შესახებ კლასს დამატებითი ინფორმაცია მიაწოდოს.

[5] http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=30&t=10350

დამატებითი ინფორმაცია ქალაქი ისპაანისა და შაჰის მეჩეთის შესახებ: შაჰ-აბას I-მა 1598 წელს ისპაანი იმპერიის დედაქალაქად გამოაცხადა[6]. ისპაანი სეფეიანთა დინასტიის მმართველობის დროს (1501-1736) სპარსეთის იმპერიის კულტურულ ცენტრს წარმოადგენდა. ისპაანში არსებობდა სამხატვრო სკოლა, სადაც მინიატიურის ხელოვნება საკმაოდ მაღალ დონეზე ისწავლებოდა. მეჩეთის მშენებლობა შაჰ-აბას I-ის სახელთანაა დაკავშირებული. მეჩეთი გამოირჩევა მასშტაბურობით, მოზაიკური და სხვადასხვა ფორმისა და ფერის ორნამენტული შემკულობით[7].

ნაბიჯი 5

მე-4 დავალება პრაქტიკული სამუშაოა. მუშაობის დაწყებამდე მასწავლებელი უნდა დარწმუნდეს, რომ ინსტრუქცია ყველა მოსწავლისთვის გასაგებია. მასწავლებელს შეუძლია, კალიგრაფიის შესახებ კლასს დამატებით ინფორმაცია მიაწოდოს, ხოლო არაბესკების შესაქმნელად მოცემული ვიდეო დამხარე რესურსად გამოიყენოს.

https://www.youtube.com/watch?v=0H9W8uMheAY

დამატებითი ინფორმაცია კალიგრაფიის შესახებ: მასწავლებელი მოსწავლეებს უხსნის, რომ კალიგრაფია წერის ხელოვნებაა, რომელიც გრაფიკული ხელოვნების ქვედარგს განეკუთვნება. კალიგრაფია ასოების, ტექსტის მიმართ შემოქმედებით მიდგომას მოითხოვს, რომელიც "სუფთად" და "ლამაზად" წერაზე გაცილებით მეტია[8]. ძველად, საქართველოში კალიგრაფის ანუ გადამწერის პროფესია არსებობდა. კალიგრაფს ტექსტის გადაწერა, ხოლო მხატვარს ხელნაწერის შემკობა ევალებოდა. სპარსული კულტურა მდიდარია კალიგრაფიული ნიმუშებით. სპარსულ ხელნაწერებს, ისევე როგორც ქართულს, თავისი დამახასიათებელი მხატვრული ნიშნები აქვს. ოსტატები სპარსულ ხელნაწერებს არაბესკებით ამკობდნენ. მაგალითად, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული სპარსული საბუთები სტილიზებული ოქროსფრად დაფერილი მცენარეული მოტივებითაა შემკული[9].

ნაბიჯი 6

მე-5 დავალების შესრულებისას განსაკუთრებით ღირებულია **საცხოვრებელი სახლების გადახურვა და მისი ფუნქცია.** ანიმაციაში წარმოდგენილი ქალაქი აგრაბა დაბლობზეა გაშენებული. თუმცა ალადინი ერთი ადგილიდან მეორეზე გადასასვლელად სახლების ბრტყელ გადახურვას იყენებს. იმისთვის, რომ მოსწავლეებმა ბრტყელი გადახურვის ფუნქცია ამოიცნონ, მასწავლებელი კვლავ ხარაჩოს სთავაზობს. პედაგოგი ბავშვებს მე-8 სლაიდზე დაკვირვებასა და მულტფილმიდან ამ კონკრეტული ეპიზოდის გახსენებას სთხოვს. მას შემდეგ, რაც მოსწავლეები ეპიზოდს გაიხსენებენ, ნათელი გახდება, რომ ალადინი აგრაბაში ერთი სახლის ბრტყელი გადახურვიდან მეორეზე გადასვლით გადაადგილდება.

---

[6] https://www.britannica.com/place/Esfahan
[7] https://www.britannica.com/topic/Masjed-e-Emam
[8] https://calligraphy.ge/what-is-calligraphy/
[9] ელენე მაჭავარიანი "ქართული ხელნაწერები: დამწერლობისა და შემკულობის საკითხები", გვ.115

მესამე კითხვის პასუხი: ძველად, თბილისში გავრცელებულ ბრტყელი გადახურვის მქონე სახლებს ბანიანი სახლები ეწოდებოდა. თბილისის ბანიან სახლებსაც აგრაბას სახლების მსგავსი დანიშნულება ჰქონდა. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ბანიანი სახლები უმეტესად ფერდზე იყო განლაგებული საფეხურებად. ამიტომ ქვემო სახლის ბანი ზემოსთვის ტერასას წარმოადგენდა[10]. შესაბამისად, მთელი უბნის შემოვლა, ერთი ბანიდან მეორეზე გადასვლით, ქვაფენილზე ფეხის დაუდგმელად იყო შესაძლებელი[11]. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეები ბანიანი სახლის მახასიათებელს ვერ გაიხსენებენ, მასწავლებელი კვლავ ხარაჩოს სთავაზობს და სთხოვოს აგრაბას სახლების ბრტყელი გადახურვა ძველი თბილისის განაშენიანებას (მთის ფერდობზე შეფენილი სახლები) დაუკავშირონ.

ნაბიჯი 7

მე-6 დავალების შესრულების დროს მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებმა **აღმოსავლური ბაზრისთვის დამახასიათებელ ნიშნებს გაუსვან ხაზი.** ეს ეხება, როგორც სახელდახელოდ აშენებულ დახლებს, ასევე ჟასმინისთვის შეთავაზებულ გასაყიდ ნივთებისა თუ სურსათის ნაირგვარობას.

ნაბიჯი 8

მე-7 დავალება მთლიანად ეძღვნება აღმოსავლურ ხალიჩას, როგორც დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშს. მეორე კითხვაზე პასუხის გაცემისას, იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეებს მსჯელობა გაუჭირდებათ, მასწავლებელს შეუძლია დამატებითი ინფორმაცია ხარაჩოს სახით გამოიყენოს. მაგალითად, დასვას ასეთი კითხვა: როგორ ახსნით ტერმინს დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება? რას მატებას ხალიჩა ინტერიერს? როგორ იყენებთ სახლში ხალიჩას? როგორ ფიქრობთ, გარდა ინტერიერის გაფორმებისა, ისლამურ კულტურაში კიდევ რისთვის შეიძლება ხალიჩას იყენებდნენ?

დამატებითი ინფორმაცია: დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმი არის იმ ტიპის ნაკეთეობა/ნივთი, რომელსაც ესთეტიკურთან ერთად ყოფითი დანიშნულებაც აქვს. ისლამურ კულტურაში ხალიჩები იატაკზე დასაფენად, კედლების გასაფორმებლად და ლოცვის დროს გამოიყენება. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ პირველი ხალიჩა ძვ.წ.აღ. V საუკუნეში ირანის მთიან რეგიონში შეიქმნა[12]. ახლო აღმოსავლეთის კულტურაში, დღესაც კი, ხალიჩა სახლის განუყოფელი ატრიბუტია. მას, კვლავინდებურად, პრაქტიკული და ესთეტიკური ფუნქცია აქვს[13].

ალადინისა და სპარსულ ხალიჩაზე საუბრის შემდეგ, მასწავლებელი მოსწავლეებს სიტყვის, „ფარდაგის“, გამოცნობაში ეხმარება. აქვე, მასწავლებელი კლასს უხსნის, რომ ძველად, საქართველოს მთიან რეგიონში ინტერიერის მოსართავად სურათების ფუნქციას ფარდაგი,

---

[10] ვახტანგ ბერიძე “ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია”, ტომი I, გვ. 394
[11] ვახტანგ ბერიძე “თბილისის ხუროთმოძღვრება 1801-1917”, ტომი I, გვ.67
[12] E.Gans-Ruedin, “The Great Book of Oriental Carpets”, Historical notes, გვ.12
[13] იქვე; გვ.13

ხალიჩა, აპლიკაცია და ნაქარგობა ითავსებდა[14]. მაგალითად, თუშეთი ცნობილი იყო ფარდაგების ქსოვით. თუშური ფარდაგის უძველესი ნიმუშები კი XIX საუკუნის 50-60-იანი წლებს განეკუთვნება[15].

მეშვიდე დავალების **ბოლო კითხვა** საგნობრივი შინაარსისა და მოსწავლის პირადი გამოცდილების დაკავშირებისკენ არის მიმართული. ბავშვებს ევალებათ მათ მიერ ნანახი ხალიჩების აღწერა. მასწავლებელს შეუძლია ბავშვებს სთხოვოს, გაიხსენონ, სად და რა ვითარებაში ნახეს აღწერილი ხალიჩა და დაასახელონ ის მთავარი ნიშნები, რის გამოც ხალიჩამ მათი ყურადღება მიიპყრო.

ნაბიჯი 9

მე-8 დავალება კვლავ მოსწავლის პირად გამოცდილებას მიემართება. ამ დავალების შესრულება ორგვარად შეიძლება: 1. მოსწავლეებმა გაიხსენონ თავიანთი ადრეული ბავშობის პერიოდი, როდესაც თამაშის დროს უსულო საგნებს მათთვის სასურველ თვისებებს ანიჭებდნენ. ჟან პიაჟეს კოგნიტური განვითარების თეორიის მიხედვით, ბავშვის წინარეოპერაციულ სტადიაზე (2-7 წლამდე) ილუზიის თამაშთან ერთად ანიმიზმი ანუ უსულო საგნისთვის ცოცხალი არსების თვისების მინიჭება ახასიათებს[16].

2. იმ შემთხვევაში, თუ ბავშვებს კონკრეტული არაფერი გაახსენებათ, მაშინ შეუძლიათ, რომ ფანტაზიას მოუხმონ. წარმოიდგინონ ყოფითი დანიშნულების ნივთი, რომელსაც კონკრეტულ ჯადოსნურ თვისებებს მიანიჭებენ. დავალების წარდგენის დროს კი დაასახელონ ის კონკრეტული მიზეზები, თუ რატომ მიანიჭეს ნივთს, ესა თუ ის თვისება.

ნაბიჯი 10

მე-9 დავალების პირველ კითხვაზე პასუხი ნათელია, საჭადრაკო პარტიას ჯადოსნური ხალიჩა იგებს. ხოლო საჭადრაკო პოზიცია არის შამათი. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეებს **მეორე კითხვაზე** პასუხის გაცემა გაუჭირდებათ, მასწავლებელს შეუძლია მიანიშნოს, რომ საუბარია ახლო აღმოსავლეთისა და სამხრეთ აზიის ქვეყნებზე. მოსწავლეებს შეუძლიათ ქვეყნები ჩამოთვალონ. მათი პასუხები მართებულად ჩაითვლება, თუკი ამ სამი ქვეყნიდან[17], ინდოეთი, არაბეთი, სპარსეთი, რომელიმეს მაინც დაასახელებენ.

---

[14] ნინო ყიფშიძე, "საქართველოს ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმი – კოლონიალური პოლიტიკიდან ეროვნულ მუზეუმამდე", გვ.246

[15] ირინა კოშორიძე, "საქართველოს ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმი – კოლონიალური პოლიტიკიდან ეროვნულ მუზეუმამდე", გვ.130

[16] ლორა ბერკი, "ბავშვის განვითარება", გვ. 311

[17] https://geochess.ge/%E1%83%AD%E1%83%90%E1%83%93%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%99%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%98%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%98%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9C/m277

ნაბიჯი 11

მეათე დავალების დროს მოსწავლეებმა ანიმაციის პერსონაჟები უნდა აღწერონ. არგუმენტების მოყვანით კი დაასახელონ, ვის და რატომ მიიჩნევენ დადებით და ბოროტ გმირებად.

ნაბიჯი 12

მე-11 დავალება სამოსს ეძღვნება. მე-11 დავალების **პირველი კითხვა** მოსწავლეებისგან მოითხოვს მე-16 სლაიდზე დაკვირვებას, შემდეგ კი ევროპული და აზიური (ახლო აღმოსავლეთი) სამოსის განმასხვავებელი ნიშნების ჩამოწერას. თუკი ბავშვებს კითხვაზე პასუხის გაცემა გაუჭირდებათ, მაშინ მასწავლებელი ხარაჩოს გამოყენებით ეხმარება და სთხოვს სულთნის აღმოსავლური (ინდური,მოგოლური) მომრგვალებული ფორმის, ბუმბულიანი თავსაბურავი მათთვის ცნობილი ევროპელი მონარქის გვირგვინს შეადარონ, ან ყურადღება გაამახვილონ ალადინის ფართობოლიან და ევროპულ ტიპის სწორ შარვლებზე, დავალების შესასრულებლად გამოდგება ჟასმინის ჩაცმულობა და ევროპელი პრინცესების სამოსი და ა.შ.

მეორე კითხვაზე პასუხის გაცემის დროს მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებმა ჯინის ფეხსაცმლის მომრგვალებულ წვეტზე ყურადღება გაამახვილონ, რადგან ეს არის სპარსული ტიპის ფეხსაცმელი, რომლის მსგავსიც საქართველოშიც იკერებოდა. თუმცა არსებობდა განსხვავებული დიზაინის ფეხსაცმელებიც. საქართველოში ფეხსაცმელს ტყავისგან ქმნიდნენ და მას წა(უ)ღასა და ქალამანს უწოდებდნენ. შესაბამისად, **მესამე კითხვაზე** პასუხი სწორად ჩაითვლება თუ მოსწავლეები წაღას/წუღას და ქალამანს დაასახელებენ. **მეოთხე დავალება** კი სიტყვების - წაღა (წუღა), ქალამანი, გამოყენებით ტექსტის შევსებას გულისხმობს. გამოტოვებული სიტყვა (1) არის წაღას (წუღას)[18]; გამოტოვებული სიტყვა (2) არის ქალამანს[19]; გამოტოვებული სიტყვა (3) არის ქალამნის; გამოტოვებული სიტყვა (4) არის წაღასა (წუღასა); გამოტოვებული სიტყვა (5) არის ქალამნის.

ნაბიჯი 13

სამუშაო ფურცელზე მოცემული 11 დავალების შესრულების შემდეგ მასწავლებელი სვამს კითხვას: კონკრეტულად რომელი საკითხი დაგვრჩა გაურკვეველი? ან არის თუ არა რაიმე ისეთი საკითხი, რაც კვლავ ბუნდოვანია? ამგვარად დასმული კითხვა განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტს წარმოადგენს[20]. ერთი მხრივ, მოსწავლეები საუბრობენ იმ საკითხებზე, რომელთა გაგებაც გაუჭირდათ, მეორე მხრივ კი მასწავლებელი იგებს, სავარჯიშოების შესრულებით, რა ცოდნა დააგროვეს ბავშვებმა და რა საკითხი დარჩა გაუგებარი. საკითხს, რომელსაც მოსწავლეები დაასახელებენ, მასწავლებელი კვლავ

[18] არქანჯელო ლამბერტი, „სამეგრელოს აღწერა“, გვ.37

[19] https://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98

[20] “მასწავლებლის წიგნი: განმავითარებელი შეფასება სასწავლო პროცესში“, გვ.25

მიუბრუნდება და მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე ხელახლა ახნის. მხოლოდ ამის შემდეგ არის შესაძლებელი ბოლო, მე-12, დავალების შესრულება.

ნაბიჯი 14

მე-12 დავალების დაწყებისას მასწავლებელი პრეზენტაციას მე-17 სლაიდზე აჩერებს. ბოლო დავალება კროსვორდის შევსებაა. **კროსვორდის შევსებით წინა გაკვეთილებზე მიღებული ცოდნის შეჯამება ხდება.** კროსვორდის ყველა მთავარი სიტყვა „ალადინის“ ანიმაციის პერსონაჟის სახელია, ხოლო გამოსაცნობი სიტყვები კი ახლო აღმოსავლეთის კულტურასთანაა დაკავშირებული. დავალების შესრულების დროს, მასწავლებელს შეუძლია, კლასი ჯგუფებად დაყოს ან მოსწავლეები დააწყვილოს. კროსვორდების შევსების შემდეგ წყვილებმა/ჯგუფებმა საკუთარი ნამუშევარი კლასის წინაშე უნდა წარადგინონ. თითოეული კროსვორდისთვის თაბახის ერთი ფურცელია განკუთვნილი. ამიტომ ამობეჭდვის დროს მასწავლებელმა ჯგუფებად თუ წყვილებად დაყოფილი მოსწავლეთა რაოდენობა უნდა გაითვალისწინოს.

კროსვორდის სწორი პასუხები:

#1

მთავარი სიტყვა ვერტიკალურად: ალადინი

გამოსაცნობი სიტყვები ჰორიზონტალურად:

1. არაბესკი;
2. სულთანი;
3. ხალიჩა;
4. ინდოეთი;
5. თაჯ-მაჰალი;
6. ირანი;
7. მუშარაბი.

#2

მთავარი სიტყვა ჰორიზონტალურად - ჟასმინი

გამოსაცნობი სიტყვები ვერტიკალურად:

1. ჟამი;
2. წაღა;
3. სპარსეთი;
4. მინიატიურა;
5. ბაზარი;

6. ბანი;
7. ორნამენტი.

#3 მთავარი სიტყვა ვერტიკალურად - სულთანი

გამოსაცნობი სიტყვები ჰორიზონტალურად:

1. ისლამი;
2. შეისრული;
3. ქალამანი;
4. მეჩეთი;
5. სპარსეთი;
6. ინტერიერი;
7. ექსტერიერი.

#4

მთავარი სიტყვა ჰორიზონტალურად: ჯაფარი

გამოსაცნობი სიტყვები ვერტიკალურად:

1. ყაჯარი;
2. თაღი;
3. კალიგრაფია;
4. არქიტექტურა;
5. ლამპარი;
6. ირანი.

#5

მთავარი სიტყვა ვერტიკალურად: იაგო

გამოსაცნობი სიტყვები ჰორიზონტალურად:

1. ისლამი;
2. ახლო აღმოსავლეთი;
3. გუმბათი;
4. ორნამენტი.

#6

მთავარი სიტყვა ჰორიზონტალურად: რაჯა

გამოსაცნობი სიტყვები ვერტიკალურად:

1. არაბესკი;
2. ბანი;
3. ყაჯარი;
4. აზია.

#7

მთავარი სიტყვა ვერტიკალურად: ვაჭარი

გამოსაცნობი სხვა სიტყვები ჰორიზონტალურად:

1. ახლო აღმოსავლეთი;
2. თაღი;
3. ჭადრაკი;
4. მუშარაბი;
5. ყურანი;
6. ისპაანი.

#8

მთავარი სიტყვა ჰორიზონტალურად: აბუ

გამოსაცნობი სხვა სიტყვები ვერტიკალურად:

1. ფარდაგი;
2. ბანი;
3. მინიატიურა.

#9

მთავარი სიტყვა ვერტიკალურად: ჯინი

გამოსაცნობი სიტყვები ჰორიზონტალურად:

1. ყაჯარი;
2. ექსტერიერი;
3. ინტერიერი;
4. მუშარაბი.

#10

მთავარი სიტყვა ჰორიზონტალურად: ხალიჩა

გამოსაცნობი სიტყვები ვერტიკალურად:

1. აღა-მაჰმად-ხანი;
2. შაჰი;
3. ქალამანი;
4. ინდოეთი;
5. ჩალმა;
6. ბანი.

ნაბიჯი 15

სამუშაო ფურცლების სრულად შევსების შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, განსაზღვრონ, რა იცოდნენ, რა გაიგეს ახალი და განსაკუთრებით რომელმა თემამ/საკითხმა დააინტერესათ ახლო აღმოსავლეთის ხელოვნების შესახებ. მოსწავლეების მოსმენის შემდეგ მასწავლებელი შესრულებულ დავალებებზე საუბრობს და ბავშვებს სენდივიჩის მეთოდის გამოყენებით უკუკავშირს აძლევს.

რესურსის მომზადებისას გამოყენებული ლიტერატურა და ინტერნეტწყაროები:

1. ანიტა ვულფოლკი, „განათლების ფსიქოლოგია“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009 წ. თბილისი
2. ლორა ბერკი, “ბავშვის განვითარება”, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010 წ. თბილისი
3. “მასწავლებლის წიგნი: განმავითარებელი შეფასება სასწავლო პროცესში“, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2022 წ. თბილისი
4. გიორგი სანიკიძე, გიული ალასანია, ნანი გელოვანი “ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან (XIX ს.-XXI ს.-ის დასაწყისი)”, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2011 წ. თბილისი
5. ელენე მაჭავარიანი “ქართული ხელნაწერები: დამწერლობისა და შემკულობის საკითხები”, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2012 წ. თბილისი
6. ვახტანგ ბერიძე “ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია”, ტომი I, გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი, 2014 წ. თბილისი
7. ვახტანგ ბერიძე “თბილისის ხუროთმოძღვრება 1801-1917”, ტომი I, გამომცემლობა “საბჭოთა საქართველო”, 1960 წ. თბილისი
8. E.Gans-Ruedin, “The Great Book of Oriental Carpets”, გამომცემლობა New York : Harper & Row, 1983 წ. ნიუ-იორკი
9. ირინა კოშორიძე, იზოლდა მელიქიშვილი, ნინო ყიფშიძე, ნინო სიმონიშვილი, ანა შანშიაშვილი “საქართველოს ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმი – კოლონიალური პოლიტიკიდან ეროვნულ მუზეუმამდე”, ნარკვევი მომზადებულია რუსთაველის სამეცნიერო ფონდის გრანტის ფარგლებში, 2018 წ. თბილისი
10. არქანჯელო ლამბერტი, „სამეგრელოს აღწერა“ გამომცემლობა „ფედერაცია“, მეორე გამოცემა, 1938 წ. თბილისი
11. https://mastsavlebeli.ge/?p=2216
12. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=30&t=10350
13. https://www.britannica.com/place/Esfahan
14. https://www.britannica.com/topic/Masjed-e-Emam
15. https://calligraphy.ge/what-is-calligraphy/
16. https://geochess.ge/%E1%83%AD%E1%83%90%E1%83%93%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%99%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%98%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%98%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9C/m277
17. https://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98